ხაშურის მოამბე

№28 (59) 25 ივლისი, ორშაბათი, 2016 წელი

ალოობა - 2016 დაიწყო

ფერემერებისთვის, რომლებიც მარცვლეული კულტურების მოყვანით არიან დაკავებულნი, უმნიშვნელოვანესი ეტაპი დაიწყო – ალოობა, დრო, როდესაც, ფაქტობრივად, მთელი წლის შრომის და ჯაფის შედეგი უნდა გამოჩნდეს. როგორც ჩვენთან საუბარში სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხაშურის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსმა ჯემალ გელაშვილმა განაცხადა, ადგილობრივი ფერმერები სრულ მზადყოფნაში შეხვდნენ ალოობას. სულ, მიმდინარე

წელს, ჩვენს მუნიციპალიტეტში ხორბალი 3 ათას ჰექტრამდე ფართობზე იყო დათესილი, ქერი – 600 ჰექტრამდე, შვრია კი – 800 ჰექტრამდე. 15 ივლისს დაიწყო, ეგრეთწოდებული შერჩევითი აღება. ამ დროისათვის მობილიზებული იყო 6 კომბაინი. მექანიზატორთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მიუხედავად იმისა, კომბაინები საბჭოური პერიოდისაა, ტექნიკა სრულიად გამართულია და დანაკარგი („ჩაბნეული“ მარცვალი) უმნიშვნელოა. დღესითვის ხორბალი 300 ჰექტრამდე ფართობზეა აღებული, ქერი – 350 ჰექტრამდე, შვრია კი 400 ჰექტრამდე. აღსანიშნავია, რომ წლევანდელი მოსავალი ბევრად აღემატება შარშანდელს. ჩვენი პროგნოზით, ხორბლის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე 4 ტონის ფარგლებში უნდა იყოს. თუმცა ფერმერების: ილია მაჭარაშვილის, პაატა ხარშილაძის, ვასილ დვალის და გომის სპირტის ქარხნის ფართობებზე საშუალო მოსავლიანობა ბევრად მეტი იქნება და არაა გამორიცხული, ცალკეულ ადგილებში 8 ტონამდეც ავიდეს.

დღეიდან მარცვლოვანების მასიური აღება იწყება. არსებული 6 კომბაინს დაემატება კიდევ 8 კომბაინი და ტექნიკის ეს რაოდენობა სრულებით საკმარისია ალოობის დროულად და წარმატებით დასრულებისათვის. კომბაინები შედგენილი გეგმა-გრაფიკის მიხედვით იმუშავებენ და ჩვენი ვარაუდით, 7-8 აგვისტოს ალოობა დასრულდება თუ, რა თქმა უნდა, ამინდმა რაიმე კორექტირება არ შეიტანა ჩვენს გეგმებში, - აღნიშნა ბატონმა ჯემალმა ჩვენთან საუბარში.

გ. მაღრაძე

(თემის გაგრძელება IV გვერდზე)

დაათვალიერეს მიმდინარე სამუშაოები

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გიორგი გურასპაშვილმა, გამგეობის წარმომადგენლებთან ერთად, მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროექტები დაათვალიერა. კერძოდ, ქალაქ ხაშურში, თევდორე მღვდლის ქუჩაზე №6 საბავშვო ბაღის მშენებლობის სამუშაოები, ქალაქ ხაშურში, მაისის ქუჩაზე №5 საბავშვო ბაღის პირველი კორპუსის რეაბილიტაციის სამუშაოები, დაბა სურამის №9 საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები და ხაშურში, ჯორჯაძის და აგარის ქუჩების მოასფალტების სამუშაოები.

მიმდინარე პროექტები მნიშვნელოვანია ადგილობრივი მოსახლეობის პირობების გაუმჯობესების თვალსაზრისით. მეექვსე საბავშვო ბაღის მშენებლობა 2016 წლის ბოლომდე დასრულდება, ხოლო დანარჩენი პროექტების დასრულება მიმდინარე წლის სექტემბრის ბოლომდეა დაგეგმილი.

არჩევნებამდე 76 დღე დარჩა

2016 წლის 8 ოქტომბერს საქართველოში საპარლამენტო არჩევნებია ჩანიშნული. ცენტრალური საარჩევნო კომისია აქტიურად მუშაობს მომავალი არჩევნების ეფექტურად ჩატარებისათვის. წლიდან-წლამდე უფრო იხვეწება საარჩევნო კანონმდებლობა, რაც დემოკრატიული არჩევნების ჩატარების საწინდარია. „ხაშურის მოამბე” ხაშურის საოლქო–საარჩევნო კომისის თავჯდომარეს **იმედო ლაცაბიძეს** ესტუმრა, რათა მკითხველს სათანადო ინფორმაცია მიაწოდოს წინასაარჩევნო აქტივობებზე და „ცეესკო”-ს შესრულებული და შესასრულებელი სამუშაოს სპეციფიკაზე.

იმედო ლაცაბიძე, ხაშურის საოლქო–საარჩევნო კომისიის თავჯდომარე: პირველ რიგში, მივესალმები ჩვენს ამომრჩევლებს ხაშურის რაიონულ ოლქში, ვუსურვებ მათ მშვიდობიან მომავალს და წარმატებული არჩევანის გააკეთებას მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე. პირველყოვლისა ვიტყვი, რომ საარჩევნო ხმის უფლება აქვს საქართველოს ყველა მოქალაქეს, განურჩევლად რასისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, განათლებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა და რომელსაც არჩევნების, რეფერენდუმის, პლებისციტის დღემდე შეუსრულდა ან იმ დღეს უსრულდება 18 წელი, ასევე აკმაყოფილებს საარჩევნო კოდექსით დადგენილ პირობებს. არჩევნებში, რეფერენდუმსა და პლებისციტში მონაწილეობის უფლება არ აქვს საქართველოს მოქალაქეს, რო

(დასასრული II გვერდზე)

(დასასრული)

არჩევნებამდე 76 დღე დარჩა

მელიც, სასამართლოს განაჩენის საფუძველზე, მოთავსებულია პენიტენციურ დაწესებულებაში, გარდა იმ პირისა, რომელსაც ჩადენილი აქვს ნაკლებად მძიმე დანაშაული, აგრეთვე თუ პიროვნება „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მოთავსებულია სტაციონარულ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში.

- ბატონო იმედო, დღეისათვის რამდენი მაჟორიტარი კანდიდატია დარეგისტრირებული საარჩევნო ოლქში და როდემდე აქვთ მათ ვადა განცხადების გასაკეთებლად?

– 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მსურველმა პარტიებმა ცესკოში რეგისტრაცია მიმდინარე წლის პირველ აგვისტომდე უნდა გაიარონ. ამასთან, პოლიტიკურმა პარტიებმა, რომლებსაც სურთ მონაწილეობა მიიღონ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში, მაგრამ არ ჰყავთ წარმომადგენელი საკანონმდებლო ორგანოში, ცესკო-ს თავმჯდომარეს სათანადო განცხადებით უნდა მიმართონ, ასევე

მიმდინარე წლის 1 აგვისტომდე, რის შემდეგაც უნდა წარმოადგინონ მხარდამჭერთა სიები. კვალიფიციურმა საარჩევნო სუბიექტმა, რომელსაც არ ჰყავს წარმომადგენელი პარლამენტში, ცესკო-ს უნდა წარუდგინოს საქართველოს პარლამენტის არჩევნებში პარტიის მონაწილეობის მხარდამჭერი სულ ცოტა 1000 ამომრჩევლის სია, ხოლო პარტიამ, რომელიც არ არის კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტი, უნდა წარმოადგინოს სულ ცოტა 25 000 ამომრჩევლის სია. პარტია ვალდებულია მხარდამჭერ ამომრჩეველთა სიები ცესკო-ს წარუდგინოს სიის ნიმუშის მიღებიდან 60 დღის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 15 აგვისტოსი. ამ ეტაპისათვის არცერთ კანდიდატს და პარტიას არ აქვს განაცხადი შემოტანილი, უბრალოდ, წარდგენები გააკეთეს თავად პარტიებმა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ რეგისტრაცია გაიარეს საარჩევნო ოლქში, თუმცა, ჯერ ვადა აქვთ. საინიციატივო ჯგუფებთან განვიხილეთ ტელეფონით რამდენიმე საკითხი, ზოგად საარჩევნიო პროცედურებზე მივაწოდეთ ინფორმაცია და სავარაუდოდ, ამ დღეებში რამდენიმე მათგანი შემოიტანს განაცხადს, რათა წარადგინონ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი.

- ცენტრალური საარჩევნო კომისიიდან თუ გადმოგეცათ დაზუსტებული სიები და რამდენი ამომრჩეველია ამჟამად ხაშურის მუნიციპალიტეტში?

– ცენტრალური საარჩევნო კომიისიდან უკვე მოგვივიდა ინფორმაცია ამომრჩეველთა რაოდენობის შესახებ, თითოეული უბნიდანაც. ჩვენი მუნიციპალიტეტში არის დაახლოებით 40 900 ამომრჩეველი. აქვე დავამატებ ერთ სიახლეს: მიმდინარე წლის 13 ივლისს საარჩევნო კოდექსში შესული ცვლილებები 2016 წლის არჩევნებში ამომრჩევლების მონაწილეობის წესს არეგულირებს, შესაბამისად, ცვლილება ეხება ამომრჩევლებს, რომლებიც საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რეგისტრაციიდან იქნენ მოხსნილები, ასევე ამომრჩევლებს, რომელთა რეგისტრაციაც იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს გადაწყვეტილებით, ძალადაკარგულად გამოცხადდა და მათ, ვინც რეგისტრირებულები არიან მისამართის მითითების გარეშე. საქართველოს საარჩევნო კოდექსში შესული ცვლილებების თანახმად, ამ ტიპის ამომრჩევლები პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობისთვის 2016 წლის 1 აგვისტომდე უნდა გამოცხადდნენ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში და გაიარონ რეგისტრაცია საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ან მიუთითონ მხოლოდ ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი. აღსანიშნავია, რომ ისინი ისარგებლებენ გარკვეული შეღავათებით, მათ შორის, კონკრეტული კატეგორიის ამომრჩევლები გათავისუფლებულები იქნებიან მომსახურების გადასახადისგან, აღნიშნულის შესახებ დეტალურ ინფორმაციას მოქალაქეები უშუალოდ სააგენტოში მიიღებენ.

- მიმდინარე წელს რამდენი საარჩევნო უბანია ხაშურის მუნიციპალიტეტში და უბნების საზღვრები ხომ არ შეიცვალა წინა წლებთან შედარებით?

– ხაშურის საარჩევნო ოლქში საზღვრები არ შეცვლილა, გამომდინარე იქიდან, რომ 50 ათასამდე ამომრჩეველი ზუსტად ჩაჯდა კანონის სტანდარტში. რაც შეეხება უბნების რაოდენობას, გვაქვს 52 საარჩევნო უბანი და სავარაუდოდ გაიხსნება კიდევ ერთი –სპეციალური სამხედრო უბანი, თუმცა ეს ვარაუდის დონეზეა და ბოლომდე გადაწყვეტილი არ არის.

- დაკომპლექტდა თუ არა საუბნო და საოლქო კომისიები სრულად? როგორია მათი გადანაწილების წესი, რამდენი კომისიის წევრით უნდა იყვნენ წარმოდგენილი პარტიები და რამდენს ირჩევს თვად საოლქო-საარჩევნო კომისია?

– საუბნო საარჩევნო კომისიაში კომისიის 13 წევრია, აქედან 6 ირჩევს საოლქო საარჩევნო კომისია. კონკურსის გამოვაცხადებთ დაახლოებით აგვისტოს დასაწყისში და 4 აგვისტოდან უკვე შეიძლება საბუთების შემოტანა საკონკურსოდ. დანარჩენ 7 ადამიანს ნიშნავს თავად პარტია, თუმცა ყველას ამის უფლება არ აქვს. გამომდინარე იქიდან, რომ წინა არჩევნებზე ვერ მიიღეს საჭირო ხმები. კომისიის წევრების სრულად დაკომპლექტების შემდეგ, მათ ჩაუტარდებათ შესაბამისი ტრენინგები, რომელიც სავალდებულოა, ასე რომ არჩევნებზე ისინი შეძლებენ მაღალკვალიფიციურად შეუდგნენ დაკისრებულ მოვალეობას. საარჩევნო უბნები სექტემბრიდან გაიხსნება.

- ახალი კანონის თანახმად რამდენი ხმაა საჭირო მაჟორიტარისათვის, რათა გადალახოს პირველი ტური?

– საქართველოს საარჩევნო კოდექსის მიხედვით, მაჟორიტარმა კანდიდატმა უნდა მიიღოს ამომრჩეველთა ხმების 50% და პლიუს ერთი ხმა, რომ გადალახოს პირველი ტური და გამოცხადდეს გამარჯვებულად. სხვა შემთხვევაში დაინიშნება მეორე ტური არჩევნებიდან 25 დღის ვადაში, სხვათაშორის, ესეც სიახლეა კანონმდებლობაში. ადრე იყო 2 კვირიანი ვადა და წელს 25-დღემდე გაიზარდა. კომისიაც შესაბამისად აგრძელებს მუშაობას, არ უწყდება უფლება-მოვალეობა. მნიშვნელობა არ აქვს კომისის წევრი საოლქო საარჩევნო კომისის მიერ იქნება არჩეული თუ პარტიის მიერ. ის არის საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომელი და მასზე ვრცელდება საარჩევნო კანონმდებლობით გათვლილი მოვალეობები.

- როგორც ვიცი, სიახლეა ახალგაზრდებისათვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან არჩევნების სპეციფიკითა და ფუნქციონირებით?

– დიახ, ასეა. „საარჩევნო განვითარების სკოლა“ მსურველთა მიღებას იწყებს. 18-24 წლის ახალგაზრდებს შეუძლიათ გაიარონ სასწავლო კურსი და მიიღონ საჭირო ცოდნა საარჩევნო თემებზე. ტრენინგი 25 ივლისიდან 5 აგვისტოს ჩათვლით ჩატარდება. საარჩევნო განვითარების სკოლებში მსურველებს შესაძლებლობა ეძლევათ მიიღონ ცოდნა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, რომელებიცაა: საარჩევნო სისტემები, საარჩევნო ადმინისტრაცია, დემოკრატიული საარჩევნო პრინციპები, არჩევითი ორგანოები საქართველოში, არჩევნებში ჩართული მხარეები, არჩევნების გამჭვირვალობა და ხელმისაწვდომობა, გენდერული თანასწორობა და ა.შ. პროექტის მეშვეობით გაიზრდება სამოქალაქო ჩართულობა, მოხდება არჩევნების პოპულარიზაცია ახალგაზრდებში. „საარჩევნო განვითარების სკოლა“ ასევე მიზნად ისახავს გაფართოვდეს და მოიცვას მთელი საქართველო, რაც საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლებს საშუალებას მისცემს, უფრო მეტ ახალგაზრდას გაუზიარონ საკუთარი პროფესიული გამოცდილება. 2015 წელს პროექტის წარმატებით განხორციელების შემდეგ, სკოლების რაოდენობა წელს გაორმაგდა. კურსის გავლისთვის, საჭიროა შეავსოთ აპლიკაცია და წარადგინოთ ნებისმიერ საოლქო საარჩევნო კომისიაში. აპლიკაციის წარდგენისას თან უნდა იქონიოთ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი. პროექტი, ევროპის საბჭოს და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის მხარდაჭერით ხორციელდება. ჩვენ მუნიციპალიტეტშიც რამდენიმე ახალგაზრდამ გამოთქვა სურვილი პროექტში ჩართვისა.



- წინასაარჩევნოდ რაიმე რეგულაციები ხომ არ დაწესდება პარტიების მხარდაჭერებისათვის, ე.წ ,,პლაკატების" გაკვრასთან დაკავშირებით?

– დიახ, იცით ალბათ როგორ ჭრელდება წინაასაარჩევნოდ „პლაკატებით” ქუჩები და ამასთან დაკავშირებით გარკვეული შეზღუდვები დავაწესეთ, ყველგან აღარ იქნება შესაძლებელი მათი გაკვრა. აქვე დავამატებ, რომ გამოიყოფა პარტიული აგიტაციისათვის საქალაქო კულტურის ცენტრი, სადაც პარტიები შეძლებენ საკუთარ ამომრჩეველთან შეხვედრას. რაც შეეხება, ადმინისტრაციული რესურის გამოყენებას, ეს ძირითადად თანამდებობის პირებს შეეხებათ, მათ აუცილებლად უნდა იმოქმედონ კანონით დადგენილ ფარგლებში.

თ. ახალკაცი

ისტორიკოსი იტრიელი ჩხეიძეების სახლიდან

სეხნია ჩხეიძე პაპუნა ორბელიანთან და ომან ხერხეულიძესთან ერთად XVIII ს-ის ქართული საისტორიო მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენელია. შეუძლებელია XVII ს-ის მეორე ნახევრისა და XVIII ს-ის პირველი ნახევრის საქართველოს და არამარტო საქართველოს (მხედველობაში გვაქვს ირანი, ავღანეთი...) ისტორიის შესწავლა სეხნია ჩხეიძის „ცხოვრება მეფეთას“ გათვალისწინების გარეშე.

სეხნია ჩხეიძე, პაპუნა ორბელიანი და ომან ხერხეულიძე იძლევიან XVII – XVIII საუკუნეების საქართველოს ისტორიის გაბმულ თხრობას, რაც მეტად მნიშვნელოვანს ხდის ცალ-ცალკე და ერთად მათ დამსახურებას სამამულო ისტორიოგრაფიის წინაშე. სეხნია ჩხეიძის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ეხებოდნენ მარი ბროსე , ივ. ჯავახიშვილი , დ. გვრიტიშვილი , შ. ხანთაძე , მ. გობეჯიშვილი , გ. ანჩაბაძე და სხვები, მაგრამ ბევრი რამ ამ კუთხით კიდევ შესასწავლი და წარმოსაჩენია.

მიჩნეულია, რომ სეხნია ჩხეიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესასწავლად ერთადერთ წყაროს მისივე თხზულება წარმოადგენს. თავდაპირველად ჯერ მარი ბროსემ , ხოლო შემდეგ ივ. ჯავახიშვილმა მიმოიხილა თავის ფუნდამენტურ ნაშრომში - „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა", - სეხნია ჩხეიძის ცხოვრება მისივე თხზულების მიხედვით . დიდი მეცნიერი შენიშნავდა, რომ „თვით ავტორი (სეხნია ჩხეიძე- თ.ლ.) თავის თხზულებაში ბევრგან ლაპარაკობს თავის თავზე" და მასზე დაყრდნობით ზედმიწევნით აღნუსხავს ისტორიკოსის ცხოვრების გზას 1687 წლიდან (არაგვის ერისთავის იასონის განდგომის გამო გიორგი XI-ის არაგვის ხეობაში ლაშქრობა) 1723 წლამდე (როცა ირანის შაჰი „გაუწყრა მეფეს ვახტანგს", ჩამოართვა მეფობა და „დაუჭირეს ჩხეიძე სეხნია, დაატყვევეს").

„ამის შემდეგ, - აღნიშნავს ივ. ჯავახიშვილი, - ავტორს თავის თავის შესახებ აღარავითარი ცნობები არა აქვს მოყვანილი, ამიტომ მისი ცხოვრების მიმდინარეობა და თავგადასავალიც გამოურკვეველი რჩება"

შემდეგ, ივ. ჯავახიშვილზე დაყრდნობით, თითქმის იგივე გაიმეორეს პროფესორებმა დ. გვრიტიშვილმა და შ. ხანთაძემ .

საქართველოს სიძველეთსაცავებში (საისტორიო არქივი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი) დაცულია არაერთი საყურადღებო დოკუმენტი, რომელთა გათვალისწინებითაც შესაძლებელი ხდება, შევავსოთ ისტორიკოსის ცხოვრების არამარტო ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილი პერიოდი, არამედ შევისწავლოთ მისი „გამოურკვევლად დარჩენილი" უცნობი „ცხოვრების მიმდინარეობა და თავგადასავალიც". უფრო მეტიც, საშუალება გვეძლევა, გავარკვიოთ „მისი ვინაობისა“ და წარმომავლობის დღემდე უცნობი დეტალები.

სწორედ ამ საკითხებზე გვინდა გავამახვილოთ ყურადღება.

ცნობილია, რომ XVII ს-ის 50-იანი წლებისათვის ჩხეიძეთა საგვარეულოს სამი ძირითადი შტოა სახეზე - იმერეთის, რაჭისა და ქართლის. ჩხეიძეებს ქართლში XVII ს-ის 10-იანი წლებიდან ვხედავთ. ამავე საუკუნის 30-40-იანი წლების მიჯნაზე მათ ვხედავთ სოფელ იტრიაში, სურამთან ახლოს, სადაც ყალიბდება მათი მცირე სათავადო - საჩხეიძო.

ჩხეიძეთა საგვარეულოსადმი მიძღვნილ ლიტერატურაში მითითებულია, რომ ჩხეიძეების ქართლის შტოს სათავეებთან ქექაოზ ჩხეიძე დგას და მის თანამეცხედრედ ქართლის მეფის ლუარსაბ I-ის (1527-1556 წწ.) ასული სახელდება.

ავტორები იმოწმებენ ქართლის მეფის სვიმონ II-ის მიერ გორგასალ ჩხეიძისათვის 1619 წელს მიცემულ წყალობის სიგელს , რომლის გაცნობაც არანაირ საფუძველს არ იძლევა, ქექაოზ ჩხეიძე მივიჩნიოთ ქართლის ჩხეიძეთა სათავეებთან, ერთი უბრალო მიზეზის გამო - მასში, საერთოდ, არ არის ნახსენები იგი.

არც მკვლევარი ო. სოსელია გვაწვდის რაიმე ცნობას ჩხეიძეთა სათავადოსადმი მიძღვნილ სპეციალურ ნაშრომში ქექაოზ ჩხეიძეზე .

ჩვენთვის უცნობია, სხვა რომელი წყაროებით სარგებლობენ ავტორები, როცა ქექაოზ ჩხეიძეს მიიჩნევენ ქართლის ჩხეიძეთა სახლის ფუძემდებლად, სამეფო კარის ნათესავად და გორგასალ ჩხეიძის მამად.

ვფიქრობთ, ეს უნდა მომდინარეობდეს მარი ბროსესაგან, რომელმაც ფრანგულ ენაზე თარგმნა და გამოაქვეყნა ისტორიკოს სეხნია ჩხეიძის თხზულება და მასზე დაყრდნობით გამოთქვამდა ვარაუდს, რომ „აზნაური სეხნია ჩხეიძე შთამომავალი უნდა ყოფილიყო მეფე სიმონ I-ის დროს, კერძოდ, 1591 წელს ქართლში გადმოსახლებული ვინმე ქექაოზ ჩხეიძისა“ . მაგრამ ეს მხოლოდ ვარაუდია და არა მტკიცება იმისა, რომ სეხნია ჩხეიძე ნამდვილად ქექაოზ ჩხეიძის შთამომავალია.

მარი ბროსეს ამ ვარაუდზე დაყრდნობით, მკვლევარები მიიჩნევენ, რომ ქექაოზ ჩხეიძე დგას ქართლის ჩხეიძეთა სახლის სათავეებთან, თუმცა არ უთითებენ ვარაუდის ავტორს.

ჩანს, რომ ავტორები არც სეხნია ჩხეიძის „ამბავი მეფეთას“ ხელნაწერს იცნობენ, რომლზედაც დართულ ქრონოლოგიურ ნუსხაში ლაპარაკია ქექაოზ ჩხეიძეზე. გარდა ამისა, გარკვევით არის მინიშნებული, რომ იგი სიმონ მეფის სიძეა.

1592 წლის ქვეშ სეხნია ჩხეიძე აღნიშნავს, რომ „...წავიდა მეფე სვიმონ ლიხთ-იმერეთის დაჭირვად, აიღო კაცხის ციხე კურასვანამდე და ქუთაისი. ამავე ქორონიკონს შეიბნენ მეფე სვიმონ და მამია დადიანი და იმერელნი. გაემარჯვა დადიანს და იმერელთ. თან გამოიტანა სიძე მეფემ ჩხეიძე ქექაოზ. ეს იყო იმერეთის თავი და სალთხუცესი შორაპნისა და სულათ საჩხეიძოსი მქონე. ვითაცა მეფის სვიმონის და ედგა, იქ აღარ ამყოფა. მისცა სასაფალოდ ნიტრია, სარჩო მრავალნი“ .

ამრიგად, თუ სეხნია ჩხეიძეს ქექაოზ ჩხეიძის შთამომავლად მივიჩნევთ, საბუთებიდან კარგად ჩანს, რომ სეხნია ჩხეიძე გორგასალ ჩხეიძის შთამომავალია, მისი შვილიშვილია. აქედან გამომდინარე კი, ქექაოზ ჩხეიძე, მართლაც, შეიძლება, მივიჩნიოთ გორგასალ ჩხეიძის მამად, მაგრამ როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მკვლევართა მიერ დამოწმებული წყაროებსა თუ საბუთებში ამის შესახებ რაიმე მინიშნებაც არ არის. არის ერთადერთი, ისიც მხოლოდ სეხნია ჩხეიძის თხზულებისათვის დართულ ქრონოლოგიურ ნუსხაში დაცული ცნობა ქექაოზ ჩხეიძის შესახებ, რომელიც ადასტურებს მის ქართლის ჩხეიძეების სათავეებთან დგომას.

ჩხეიძეთა ქართლის სახლს სისხლით ნათესაობა აკავშირებდა ქართლის სამეფო კართან, როგორც ბაგრატიონთა ძირითად, ასევე გვერდით, მუხრანულ შტოსთან. ამ უკანასკნელთა სახლის მეშვეობით ჩხეიძეები უკავშირდებიან სააკაძეთა ცნობილ გვარს.

ქართლის მეფის ბაგრატ VII-ის (1616-1619) თანამეცხედრის, დედოფალ ანას და მისი ვაჟის - მეფე სიმონ II-ის მიერ ზემოთ აღნიშნულ 1619 წელს გაცემული მიწის წყალობის სიგელიდან კარგად ჩანს ჩხეიძეთა ქართლის სამეფო კართან ახლო ნათესაური კავშირი. სიგელის მიხედვით, დედოფალმა ანამ და მეფე სვიმონმა „ერდგულსა და თავდადებით ნამსახურსა მამიდაშვილსა ჩხეიძეს პატრონსა გორგასალს“, მის შვილებს ბეჟანს, ქაიხოსროს და დავითს უბოძეს „კარალეთი ვახტანგ ციციშვილის კერძი“ .

ამრიგად, თუ გორგასალ ჩხეიძე მამიდაშვილია ბაგრატ VII -ის (ამასვე გულისხმობს დედოფალი ანაც), მაშინ მისი დედა (სახელი ცნობილი არ არის), უნდა იყოს ქართლის მეფის ლუარსაბ I-ის ასული, და სიმონ I-ისა და დავით XI -ისა (დაუდ ხანი), მამიდა გიორგი X -ის, ბაგრატ VII -ისა და როსტომ მეფის.

1633 წელს როსტომ მეფის მიერ გორგასალ ჩხეიძის შვილის - ბეჟანისათვის ლიახვის ხეობაში მამულის წყალობის სიგელიდან კარგად ჩანს (კიდევ ერთხელ) ჩხეიძეთა ნათესაობა ქართლის სამეფო კართან: „ჩვენ მეფემან პატრონმან როსტომ, ესე წყალობისა წიგნი გიბოძეთ თქვენ ჩვენს მამიდაშვილს ჩხეიძეს ბეჟანს, ქაიხოსროს, დათუნას“ .

როსტომი სიგელში ხაზს უსვამს მასთან ჩხეიძეთა მამიდაშვილობას. თუმცა იგი ბეჟან ჩხეიძეს მოიხსენიებს მამიდაშვილად, მაგრამ ცნობილია, რომ მისი მამიდაშვილი ბეჟანის მამა - გორგასალ ჩხეიძეა, რომელიც ამ დროს გარდაცვლილია (1629).

ე.ი. გორგასალ ჩხეიძე დედის მხრიდან ენათესავება ქართლის სამეფო კარს.

ამავე დროს ირკვევა, რომ გორგასალ ჩხეიძეს მეუღლის მხრიდან ნათესაობა აკავშირებს ბაგრატიონთა მუხრანულ შტოსთან. ბაგრატიონთა ამ შტოს 1657 წლიდან ვხედავთ ქართლის სამეფო ტახტზე. ამ ორი გვარის ნათესაობაზეა ლაპარაკი გიორგი XI -ს მიერ 1688 წელს ქაიხოსრო ჩხეიძის სახელზე გაცემულ სიგელში. სიგელში ხაზგასმულია, რომ გიორგი XI ქაიხოსრო ჩხეიძეს - „ერთგულად და თავდადებით ნამსახურსა“, „ნათესავსა და ყრმას“ აძლევს სახასო მამულს – ფონას .

ამ შემთხვევაში არ ჩანს, როგორი ნათესაური კავშირია ჩხეიძეებსა და ბაგრატიონ-მუხრან-ბატონებს შორის. გიორგი XI მიუთითებს მხოლოდ, რომ ქაიხოსრო ჩხეიძე მისი ნათესავია.

თუ რა აკავშირებდა ჩხეიძეებს მუხრან-ბატონებთან, ამის შესახებ მოგვიანებით გაცემული სიგელით ხდება ცნობილი. კერძოდ, 1729 წელს ვახტანგ VI-ის მიერ სეხნია ჩხეიძისათვის მიცემულ სიგელში ნათქვამია, რომ „...ბედნიერს პაპაჩვენს მეფეს შანავაზს (ვახტანგ V) თავისი დეიდაშვილის პაპაშენის ბეჟანისათვის (გორგასალ ჩხეიძის ვაჟი - თ. ლ.) ქვემო ბოლნისი წყალობა ექნა...“ .

ამრიგად, ვახტანგ V (შაჰნავაზი) და ბეჟან ჩხეიძე დეიდაშვილები არიან. ე.ი. მათი დედები დები არიან.

აქ კიდევ ერთ საინტერესო დეტალს უნდა გაესვას ხაზი: ვახტანგ V -ის დედა დიდი მოურავის - გიორგი სააკაძის ასულია. ე.ი. ბეჟან ჩხეიძის დედაც გიორგი სააკაძის ასულია.

ამრიგად, დასტურდება ჩხეიძეთა ნათესაობა ქართლის კიდევ ერთ დიდ ფეოდალურ გვართან - სააკაძეებთან. გიორგი სააკაძის სიძეა გორგასალ ჩხეიძე, ბეჟან ჩხეიძის მამა.

სეხნია ჩხეიძე - XVIII საუკუნის გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი და ისტორიკოსი, სწორედ ქართლის (იტრიის) ჩხეიძეთა სახლის წარმომადგენელია.

საბუთებიდან ჩანს, გორგასალ ჩხეიძეს ოთხი ვაჟი ჰყავს: ბეჟანი, ქაიხოსრო, დავითი და ნიკოლოზი.

ქაიხოსროსა და დავითის შთამომავლობის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება. ყოველ შემთხვევისთვის ჩვენ მიერ მოძიებული დოკუმენტები მათზე არაფერს მიგვანიშნებს. ნიკოლოზი სასულიერო პირი - ქართლისა და თბილისის მთავარეპისკოპოსი იყო. ჩანს მხოლოდ ბეჟან ჩხეიძის შთამომავლობა - ქაიხოსრო, თეიმურაზი და სეხნია. საბუთებში ჩანს ქაიხოსროს შთამომავლობა. მიწის ნასყიდობის 1693 წლის წიგნის მიხედვით, მას ჰყავს ექვსი ვაჟი: თეიმურაზი, სეხნია, პაატა, ფარემუზ, გორგასალი და დავითი .

სწორედ ქაიხოსროს ვაჟია სეხნია, ისტორიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე. იგი ქართლის სამეფო კარის მოლარეთუხუცესია, ხშირად ჩანს დიპლომატიურ ასპარეზზე. მის სიახლოვეს სამეფო კართან ხელს უწყობდა ჩხეიძეთა ზემოთ აღნიშნული ნათესაური კავშირი ბაგრატიონთა მუხრანულ შტოსთან. სეხნია ჩხეიძე გორგასალ ჩხეიძის შვილის - ბეჟანის შვილიშვილია. ბეჟანი კი, როგორც ზემოთ ითქვა, ვახტანგ V -ის დეიდაშვილია. სეხნიასაც სწორედ ვახტანგ V -ის შვილებთან აქვს მჭიდრო ურთიერთობა. იგი ერთგულად ემსახურება მათ ისტორიის არცთუ მცირე მონაკვეთის მანძილზე. არც სამეფო კარია მის მიმართ უყურადღებოდ.

1707 წელს გიორგი მეფემ სეხნია ჩხეიძეს „უბოძა საბოძვარი მრავალი და ქართლის მოლარეთხუცობა" . სეხნია ამ სახელოს უნდა ფლობდეს ქართლში ოსმალების გაბატონებამდე - 1724 წლამდე.

როგორც ზემოთ ითქვა, ივ. ჯავახიშვილი, შ. ხანთაძე და სხვები მიიჩნევენ, რომ 1723 წლის შემდეგ, სეხნია ჩხეიძის ტყვეობიდან დაბრუნების მომენტიდან, მისი ცხოვრების შესახებ ცნობები აღარ გაგვაჩნია. ამას კი იმით ხსნიან, რომ მის თხზულებაში სეხნია ჩხეიძე აღარ ფიგურირებს, აღარ იხსენიება.

საქართველოს სიძველეთსაცავებში დაცულია რამდენიმე დოკუმენტი, რომელიც XVIII საუკუნის 20-30-იან წლებში ქართლში სეხნია ჩხეიძის მდგომარეობაზე გვაძლევს ინფორმაციას.

1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარის მიხედვით, სეხნია ჩხეიძე იტრიაშია . აქვეა მისი შვილი გიორგი და შვილიშვილი ქაიხოსრო. სეხნია ჩხეიძეს აფიქსირებენ აგრეთვე სოფელ ლუბრუმის აღწერის დროსაც .

სეხნია ჩხეიძეს მამულები ეკუთვნოდა იმერეთშიც და ქართლშიც. სეფი-ხანის 1737 წლის ბრძანებაში აღნიშნულია, რომ მას იმერეთში ეკუთვნის წიფა და ფონა. ქართლში, ხაშურის რეგიონში, იტრიის გარდა, იგი ფლობს გვერდისუბანს, ლუბრუმას და ჩუმათელეთს, ქვემო ქართლში სოფელ ღორისთავს .

სეხნია ჩხეიძეს მამულები ჰქონდა ნაბოძები სურამის ჭალაშიც. ვახუშტის მიხედვით, სურამის ჭალა ქვიშხეთიდან, მდინარე შოლიდან იწყებოდა და გომთან, დაღალულას მინდვრამდე გრძელდებოდა . სეხნია ჩხეიძეს ამ ვრცელი ჭალის ერთი მონაკვეთი, კერძოდ, ცხრამუხიდან ახალსოფლამდე მდებარე ტერ

(დასასრული IV გვერდზე)

ისტორიკოსი იტრიელი ჩხეიძეების სახლიდან

(დასასრული)

ტიტორია, უნდა კუთვნებოდა.

1730 წლის ახლოს სეხნია ჩხეიძეს ვახუშტი აბაშიძე შესცილებია სურამის ჭალაში მამულებს, მაგრამ უსუფ ფაშას კვლავ სეხნიასათვის დაუტოვებია „შუა ჭალა“ .

სურამის ჭალის ეს მონაკვეთი საბუთებში ჩხეიძის ჭალადაც იწოდება. ჩვენს დრომდე ხაშურში, ჭალის უბანში ფიქსირდება ტოპონიმი - ჩხეიჭალა(ჩხეიძის ჭალა), რომელიც მის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობდა, მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროს გასწვრივ.

ერთი მნიშვნელოვანი ფაქტიც სეხნიას XVIII -ის 30-იანი წლების ცხოვრებიდან.

ყურადღებას იქცევს ქართლის გამგებლის სეფი ხანის 1737 წლის 29.VI-28.VII-ით დათარიღებული ბრძანება, რომლითაც ზაზა-ბეგს (ამირეჯიბს - თ. ლ.) ავალებს, აღწეროს და ჩაიბაროს (ზავთი ქნას) სეხნია ჩხეიძის სოფლების მიერ ხაზინაში შესატანი გადასახადები.

ბრძანებაში ნათქვამია: „...მირის თეთრი სეხნია ჩხეიძე მოსაცემს იყო, თითონ გაიქცა და იმისი მამულისა არ ვიცოდით, ვინ სჭამდა, ვინ უვლიდა, ახლა ამ ყარარზედ (?) ზაზა - ბეგს მივეცით სეხნია ჩხეიძის სოფლები: იტრია, გვერდისუბანი, ფონა, წიფა, ლუბრამა, ღორისთავი, ჩუმათელეთი, ზაზას უბოძეთ ამისი რაიათი რაც მოსავალი არის ამ მამულში, ის სულ მალუჯათისა არის, ზავთი ქენით...“ .

ამრიგად, როცა სეფი ხანის ეს ბრძანება იწერებოდა (1737 წლის 29 ივნისი-28 ივლისი), სეხნია ჩხეიძე ქართლში არ იმყოფება. ბრძანებაში აღნიშნულია, რომ იგი გაქცეულია.

საბუთის შინაარსიდან გამომდინარე, ჩნდება კითხვა – სად არის გაქცეული სეხნია ჩხეიძე?

ამ კითხვას ბრძანების სპარსულ ტექსტში ეძებნება პასუხი. სპარსული ტექსტი, რომელიც მოცულობით საკმაოდ დიდია, რა თქმა უნდა, ქართულ ტექსტს იმეორებს, მაგრამ მასში მცირეოდენ განსხვავებასაც ვხედავთ. ეს უმთავრესად ეხება პასუხს კითხვაზე, - თუ სად გაიქცა სეხნია ჩხეიძე. მოგვყავს სპარსული ტექსტის ქართული თარგმანი: ”გამოვიდა მაღალი ბრძანებულობა მასზე, რომ ამა წლის მალიათი დივანისა (დივანის გადასახადი) და მირის ფული სეხნია ჩხეიძეს (უნდა გადაეხადა), თვით ის, ხსენებული (ე. ი. სეხნია ჩხეიძე - თ. ლ.) გაიქცა ბაში-აჩუკში (დასავლეთ საქართველოში) და გამოურკვეველია, თუ მის კუთვნილ სოფლებს და გლეხებს ვინ უვლის და (ვინ) ფლობს” .

ამ შემთხვევაშიც სამართლიანად დაისმის კითხვა, რატომ არის გაქცეული სეხნია ჩხეიძე დასავლეთ საქართველოში?

სეხნია ჩხეიძის იმერეთში გაქცევის მიზეზი მისსავე თხზულებაში უნდა ვეძიოთ. ყოველ შემთვევისთვის ამას გვაფიქრებინებს მის მიერვე 1737 წელს ქართლში დატრიალებული აღწერილი ამბები.

1736 წელს ირანის ტახტზე ნადირ-შახი ადის. მან ქართლის მმართველად სეფი ხანი გამოაგზავნა. ამასთან ქართლს დიდი გადასახადები დააკისრა - სამიათას სამასი თუმანი და ხუთასი მხედარი, რომელიც მუდამ ქალაქში უნდა მდგარიყო ცხენითა და იარაღით. სეხნია ჩხეიძე მიუთითებს: „ზემო ქართველთ ეს ვერ შესძლეს. უკუდგა ქსნის ერისთავი შანშე, ამილახვარი გივი, აბაშიძე ვახუშტი და სულ ზემო ქართლი, გაღმით თარხანი ლუარსაბ და მისი სახლის კაცნი" .

სეხნიას თხზულებიდან მოტანილი ამ ცნობიდან ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ უკუმდგარ ქართველთა შორის დაფიქსირებულია „სულ ზემო ქართლი".

ჩხეიძეებიც ზემო ქართლში არიან, აქ არის მათი რეზიდენცია-იტრია.

უკუმდგარ ზემო ქართლელთა შორის უნდა ყოფილიყო სეხნია ჩხეიძეც. ერთის მხრივ, ის რაც ვერ შეძლო ქსნის ერისთავმა, გივი ამილახვარმა და ვახუშტი აბაშიძემ, ცხადია, ვერ შეძლებდა ისეთი მცირე სათავადო, როგორიც საჩხეიძო იყო ზემო ქართლში. მეორეც, სეხნია ჩხეიძე, რომელიც ბოლომდე ერთგული რჩება ვახტანგ VI-ის კურსისა, უკმაყოფილო რომ ყოფილიყო ქართლში ირანის გაბატონებისა, გასაკვირი არ უნდა იყოს.

ამ და, ალბათ, კიდევ სხვა მიზეზების გამო, სეხნია ჩხეიძე აჯანყებულთა მხარეზე არის.

უკუმდგარმა დიდებულებმა მოლაპარაკება გამართეს სეფი ხანთან, მაგრამ უშედეგოდ. სეფი ხანმა ყიზილბაშთა ჯარი შეუსია ქართლს: „წამოვიდა ჯარი, დადგა ფხვენის, და იწყეს იქიდამ თარეშის გასევა, მიუხდნენ ქსნის ერისთავსა, რამდენჯერაც მივიდნენ, ბრძანებითა ღუთისათა, იმდენჯერ გაემარჯვა. კეხუს მიუხდნენ სამჯერ ამილახვარს გივსა, სამჯერვე გაემარჯვა და მოსწყვიტეს ყიზილბაში. ამაში გამოუსია თარეში მიუხდნენ დილაბანდზე სააბაშიოს და საჩხეგოს (საჩხეიძოსა) და სურამის ხეობასა, ბევრი წაახდინეს და დაწვეს საფალავანდისშვილო და გამოყოლება ააოხრეს, დაწვეს, სადაც სიმაგრე იყო, ღუთით ვერ ავნეს-რა" .

ასეთ ვითარებაში არ არის გასაკვირი, რომ სეხნია ჩხეიძეს იმერეთში ეპოვნა თავშესაფარი, თუმცა როგორც ჩანს მცირე ხნით.

როდის დაბრუნდა სეხნია ჩხეიძე ბაშიაჩუკის ქვეყნიდან ქართლში, თავის მამულში?

1738 წელს ჩანს, რომ სეხნია ჩხეიძე უკვე ქართლშია. 1738 წლის 7 აპრილს ქართველი დიდებულები, მათ შორის სეხნია ჩხეიძეც, რუსეთის იმპერატორს ანას სთხოვენ ბაქარ ბატონიშვილის სამშობლოში დაბრუნებას, მისგან ანტიირანული ბრძოლის განახლებას და მის მეთაურობას .

ამ საბუთზე ხელმოწერით სეხნია კიდევ ერთხელ ადასტურებს თავის ერთგულებას ვახტანგ VI-ისადმი და ანტიირანულ განწყობილებას.

სეხნია ჩხეიძეს ჰყავს შვილები გიორგი, გორგასალი და ანახანუმი. ეს უკანასკნელი ვახუშტი ორბელიანის შვილის – ვახტანგის მეუღლეა. ანახანუმის შვილია ესტატე ორბელიანი .

სეხნია ჩხეიძე XVIII ს-ის 40-იანი წლებიდან აღარ ჩანს წყაროებსა თუ დოკუმენტებში. პროფ. შ. ხანთაძე მიიჩნევს, რომ მისი „გარდაიცვალება XVIII ს-ის 40-იანი წლების შემდეგაა საგულვებელი“ . მკვლევარ გ. იობაშვილს სავარაუდოდ მიაჩნია, რომ იგი 1745 წელს გარდაიცვალა .

ვფიქრობთ, სეხნია ჩხეიძე XVIII ს-ის 40-იან წლებამდეა გარდაცვლილი. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, იგი თავის „ცხოვრება მეფეთაში” ნამდვილად ვერ აუვლიდა გვერდს XVIII ს-ის 40-იან წლებში ქართლში დატრიალებულ ამბებს, კერძოდ, გივი ამილახვარის აჯანყებას, რომლის ძირითადი პერიპეტიები სწორედ სურამში, მის შემოგარენში განვითარდა და სათანადო ადგილს მიუჩენდა თავის თხზულებაში.

რატომღაც მკვლევარების ყურადღების მიღმა დარჩა ისტორიკოს პაპუნა ორბელიანის თხზულების „ამბავი ქართლისანის“ ცნობა სეხნია ჩხეიძის გარდაცვალების თარიღის შესახებ.

პაპუნა ორბელიანი ასე იწყებს თავის თხზულებას: „ვინათგან ვიდრე აქამომდე აღწერილი იყო ამბავნი ესე ქართლისანი, აღმწერელსა ამისას ჩხეიძე სეხნიასა დაშთომოდა შემდგომნი ყოფილნი და ყოფადნი და მე, პაპუნა ორბელიანმა, ხელვყავ აღწერად...“ .

პაპუნა ორბელიანის თხზულების გვიანდელ (1846 წ.) ხელნაწერში, რომელიც ფარნაოზ ბატონიშვილის დაკვეთით არის გადაწერილი, პირდაპირ არის მითითებული, რომ „ვინადგან, ვიდრე აქამომდე აღწერილი იყო ამბავნი ესე ქართლისანი, აღმწერის ამისა ჩხერისძე (ჩხეიძე) სეხნიასაგან, და ვეღარ აღეწერა შემდგომად ამბავნი და მომკვდარიყო“ . ამავეს იმეორებს დ. ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკისეულ ხელნაწერიც.

სეხნია ჩხეიძის „ცხოვრება მეფეთა“ 1739 წლის მარტში მომხდარი ამბის (ინდოეთზე ლაშქრობა) გადმოცემით მთავრდება, მაგრამ მას წინ უსწრებს 1739 წლის მაისში „ერთი საკვირველი და კაცთაგან ჭკუა მიუწვდომელი” მოვლენის შესახებ თხრობა. პაპუნა ორბელიანი კი თავის თხზულებას იმავე წლის ივლისში მომხდარი ამბით იწყებს.

ამრიგად, სეხნია ჩხეიძე უნდა გარდაცვლილიყო 1739 წლის მაისის შემდეგ, არაუგვიანეს ივლისამდე.

სეხნია ჩხეიძის განსასვენებელი იტრიის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიაში უნდა ვეძებოთ, რადგან ეს ეკლესია ტრადიციულად ჩხეიძეთა საძვალედ არის მიჩნეული XVII ს-ის 40-იანი წლებიდან.

სეხნია ჩხეიძის შემდეგ ქართლის ჩხეიძეები პოლიტიკურ სარბიელზე აღარ ჩანან, არც რაიმე მნიშვნელოვან როლს თამაშობენ, ან საქმიანობას ეწევიან. სეხნია ჩხეიძესთან მთავრდება ქართლის ჩხეიძეთა აქტიური სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი საქმიანობა.

თამაზ ლაცაბიძე

მოსავალი რომ უსაფრთხოდ ავიღოთ

უკვე დაწყებულია მარცვლეული კულტურების აღება, რის დროსაც აუცილებელია უსაფრთხოების ნორმების დაცვა, როგორც ფერმერის, ასევე მექანიზატორების მხრიდანაც, რომელიც დარეგულირებულია საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის №370 დადგენილებით „სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტაციის დამტკიცების თაობაზე“.

მუხლი 28. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები მარცვლეულის აღებისა და საკვების დამზადებისას.

1. მარცვლეულის აღება უნდა დაიწყოს თავთავიანი კულტურების მინდვრების არაუმეტეს 50 ჰა ფართობის ნაკვეთებად დანაწილებით და მათ შორის არანაკლებ 8 მ სიგანის ლესურების მოწყობით. ლესერებისდან მოთიბული თავთავიანი კულტურები დაუყონებლივ უნდა იყოს აღებული. ლესურებს შორის მოწყობილი უნდა იყოს არანაკლებ 4 მ სიგანის ხნული.

2. 25 ჰა-ზე მეტი ფართობის პურის მასივებიდან მოსავლის აღებისას მუდმივ მზადყოფნაში უნდა იყოს ტრაქტორი და გუთანი ხანძრის გაჩენის შემთხვევაში წვის ზონის შემოხვნისათვის.

3. აგრეგატები და ავტომობილები, რომლებიც გამოიყენება მოსავლის აღების დროს, უნდა აღიჭურვოს ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებებით(ყველა ტიპის კომბაინი და ტრაქტორი–ორი ცეცხლმაქრით, ორი ხიშტა ნიჩბით), გამართული ნაპერწკალჩამქრობებით და კვების, ანთების, საზეთი სისტემებით.

4. მარცვლოვანი კულტურების დამწიფებამდე პურის ყანები ტყისა და ტორფის მასივებთან, საველე ზოლებთან, საავტომობილო და სარკინიგზო გზებთან მომიჯნავე ადგილებში უნდა შემოითიბოს და შემოიხნას არანაკლებ 4 მ. სიგანის ზოლით.

5. დროებითი საველე ბანაკები უნდა იყოს დაშორებული პურის მასივებიდან, კალოებიდან არანაკლებ 100 მ ხანძარსაწინააღმდეგო მანძილით.

6. დაუშვებელია მინდორში ნამკალის, ნამწვერალი ნარჩენის დაწვა და კოცონების დანთება.

სასოფლო-სამეურნეო მიწის რეგისტრაციისთვის საჭირო მიწის აზომვითი ნახაზების ხარჯებს სახელმწიფო აანაზღაურებს;

შემუშავდება საამზომველო ნახაზის ერთიანი სტანდარტი;

სახელმწიფო მოქალაქეს დაეხმარება საკუთრების დამადასტურებელი საბუთების მოძიებაში;

სახელმწიფო მესაკუთრეებს დავების მოგვარებაში დაეხმარება;

ეკონომიკისა და იუსტიციის სამინისტროები ერთობლივად მუშაობენ მიწის რეგისტრაციაზე ბარიერების მოხსნასთან დაკავშირებით.

დღეისათვის ქვეყანაში არსებული მიწის ნაკვეთების მხოლოდ 25%-მდეა რეგისტრირებული. ცვლილებების უმთავრესი მიზანი სწორედ მიწის რეგისტრაციის პროცესის გამარტივება და წახალისებაა.

ბიჯნისულაზე ნაპირსამაგრი სამუშაოები გრძელდება

დაბა სურამში მდინარე ბიჯნისულაზე ნაპირსამაგრი კედლების მოწყობის სამუშაოები გრძელდება. ძლიერი წვიმის დროს, მდინარის კალაპოტიდან წყალი გადმოდიოდა და ადგილობრივი მოსახლეობა იტბორებოდა. გატარებული ღონისძიებების შედეგად სტიქიის რისკი მნიშვნელოვნად შემცირდება.

სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებით ხორციელდება და ღირებულება 252 938 ლარს შეადგენს.

ეს ჩვენი ნაკვალევია, ეს ჩვენი ისტორიაა --

რას წერდა გაზეთი ივერია 130 წლის წინ

დ. სურამი: 29-ს ამ თვისას, ნაშუაღამევს, საზარელი ავ-კაცობა მოხდა აქ. ორმა ძმამ მაჭარაშვილებმა, ხელობით თერძებმა, მოჰკლეს სურამელი ვაჭარი, ებრაელი ციცა ჯინჯიხაშვილი, თითქმის სამოცი წლის მოხუცებული წვრილშვილი კაცი. აი, საქმე როგორ ყოფილა: თერძები, საზოგადოდ, მეფართლეებს დაახლოებით იცნობდნენ და იციან იმათი გარემოება, წასვლა და მოსვლა სადმე სავაჭრო ადგილას. აქაც თერძებს მაჭარაშვილებს და ამათს ერთს ამხანაგს კიდევ გაცნობილი ჰყოლიათ აქაური ებრაელი დავარაშვილი. მკვლელებს თურმე წინა დღით გაეგოთ, რომ ზემოთხსენებული მდიდარი დავარაშვილი ტფილისს მიდის სხვადასხვა ფართეულობების სასყიდლადაო. მიტომაც, თერძებს მაჭარაშვილებსა და იმათ ამხანაგს გამოუცვლიათ ტანსაცმელი, უყიდნიათ პირზე ჩამოსაფარებელი საგანგებოდ დახატული სახე, შემოურტყიათ ხანჯლები, დამალულან სურამის მუხის ხიდს ქვეშ და დაუწყიათ დარაჯი დავარაშვილისათვის. ღამის პირველი საათია. ბოგირზე მოდის ბაკა-ბუკით ციცა ჯინჯიხაშვილი. ეცემიან აქეთ-იქიდან ჩასაფრებული ავაზაკები, კისერს თითქმის ერთიანად მიაჩეხენ და როდესაც ბარბაცობას დაიწყებს დაჭრილი კაცი, უკნიდან გააქანებენ ხელ-ახლად ხანჯლებს მკვლელები და ზურგიდან მუცლამდე გამოსწელავენ. საწყალს ჯინჯიხაშვილს უკან შვილი მოსდევდა და იმას-კი თავისათვის ეშველნა, გაქცეულიყო და ყვირილი მოერთო. მკვლელები იქვე მდინარე სურამულაში ჩავარდნილიყვნენ და სისხლიან ფეხსაცმელების გარეცხა მონდომებიათ, მაგრამ ეს არ დასცალდათ და მოულოდნელად სურამის პოლიციის ხელში ჩავარდნენ. ამ შემთხვევაში, სწორედ ყოჩაღად მოიქცა სურამელი მამასახლისი, ნიკო ქიმერიძე, რომელმაც საჩქაროდ დაიჭირა და გათოკა ავაზაკები: „რას აკეთებთ ამ დროს აქა, ყმაწვილებო?" ეკითხება ქიმერიძე – არაფერსაო, ვთევზაობთო, უპასუხებენ მკვლელები. – კაი, მეთევზეები ყოფილხართო", ეტყვის მამასახლისი და კიდეც გაათოკინებს. საწყალს ჯინჯიხაშვილს ჯიბეში ოცდაათი თუმანი ფული ჰქონდა თურმე, მაგრამ მკვლელებს ჯიბიდან ამოღება და წაღება ვერ მოესწროთ. ამნაირად, ავაზაკებმა მდიდრის დავარაშვილის მაგივრად მოჰკლეს საწყალი ციცა ჯინჯიხაშვილი და დავარაშვილსაც ეს ბედი არ ასცდებოდა, თუ რომ იმასაც ამ ხიდზედ გამოევლო. წელს სურამში სამი კაცი მოჰკლეს. მკვლელები, ერთის გარდა, ყველა ცნობილია. ის ავაზაკი, რომელმაც ამ გაზაფხულზე სურამის ტყეში სოფელში მოსიარულე ცხენიანი ურია მოჰკლა, ვერ აღმოუჩენიათ და ვერ დაუჭერიათ.



ლუდვიგ ნობელი

როტშილდები და ნობელები სურამის ქედზე ნავთობსადენის გატარებას გეგმავდნენ

ბათუმში როტშილდებს ნავთისა და ნავთობის გადასაზიდი კონტეინერების ყველაზე დიდი ქარხანა ჰქონდათ. ნობელებს არ სურდათ, სასიკვდილო ომში ჩართულიყვნენ როტშილდებთან. ალფრედს კარგად ესმოდა, თუ რით შეიძლება დამთავრებულიყო ყოველივე ეს მისი ძმებისათვის. მისი ძალისხმევით პარიზში, 1884 წლის მაისში, მოწვეულ იქნა კონფერენცია, სადაც ორი ოჯახი თანამშრომლობაზე შეთანხმდა. როტშილდებს სურდათ ნავთის გადატანა ევროპაში, რომელიც ათასწლეულების განმავლობაში მხოლოდ როკფელერების შტანდარდ ოილ-ით მარაგდებოდა. იმავე აზრის იყვნენ ნობელებიც. ლუდვიგს სურდა საკუთარი კომპანიის მეოთხედის მიყიდვა როტშილდებისათვის, რათა მათი დაფინანსებით მოეხერხებინა ბათუმში ბუნგესა და პალაშკოვსკის „ბათუმის ნავთობისა" და „სავაჭრო კომპანიის" 1,5 მილიონ მანეთად ყიდვა. მას ასევე სურდა, აეგო ნავთის გადასაზიდი კონტეინერების ქარხანა და გაეყვანა ნავთობსადენი **სურამის ქედზე** გავლით. როტშილდებმა უარი თქვეს, თუმცა აქ გამოჩნდნენ როკფელერები, რომლებმაც მოლაპარაკებები გამართეს. არსებული მძლავრი კონკურენციის პირობებში ნობელები ნათლად ხედავდნენ, რომ ნავთისა და ნავთობის მიწოდებს გასაზრდელად საჭირო იყო უფრო მეტი ავტოგადამზიდი და ბათუმში მეტი ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის აშენება. თუმცა ეს მაინც უზრუნველყოფდა ნავთობის საჭირო რაოდენობით მოზიდვას. აუცილებელი იყო მილსადენის აშენება. მთავარ დაბრკოლებას **სურამის ქედი** წარმოადგენდა. ლუდვიგ ნობელი ჯერ კიდევ 1883 წელს ბაქო-თბილისის რკინიგზის გაყვანას აცნობებდა ადგილობრივ მთავრობას სურამის ქედის გავლით სადენის გატარების აუცილებლობას, თუმცა კონცენსიაზე უარი მიიღო. მიზეზი: ნავთის დიდი რაოდენობა და როკფელერებთან ეფექტიანი კონკურენცია შესაბამისად გამოიწვევდა ნობელების მიერ ბაქოს იაფ ნედლეულზე ფასების მომატებას. ლუდვიგმა ბაქოში პირველი სინდიკატი შექმნა და ითხოვდა ნედლეულის

როტშილდების ოჯახი

შეხვედრა მთარგმნელთან

21 ივლისს, ხაშურის მუნიციპალიტეტის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში, გამომცემლობა „ინტელექტმა“ თეა გვასალიას მიერ ნათარგმნი გაბრიელ გარსია მარკესის წიგნები წარმოადგინა:

„გაბო“ – გრაფიკული რომანი გაბრიელ გარსია მარკესის ცხოვრებაზე;

„ფოთოლცვენა“;

„სიყვარული ჟამიანობის დროს“;

„12 მოხეტიალე მოთხრობა“;

„ერთი ტყვეობის ამბავი“;

„პოლკოვნიკს არავინ სწერს“;

„გენერალი თავის ლაბირინთში“;

„საზღვაო კატასტროფაში მოხვედრილი კაცის ნაამბობი ანუ ათი დღე ზვიგენების პირისპირ“;

„ჩილეში არალეგალურად შეპარული მიგელ ლიტინის თავგადასავალი“.

თეა გვასალიამ თავად ისაუბრა წიგნების გარშემო და მსმენელს ბევრი საინტერესო დეტალიც უამბო. შეხვედრის ბოლოს წიგნების გამოფენა-გაყიდვა გაიმართა.

საბავშვო მწერალი ხაშურელ ბავშვებს შეხვდა

21 ივლისს, ხაშურის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბიბლიოთეკაში, საბავშვო მწერალ ირმა მალაციძესთან შეხვედრა გაიმართა. ავტორმა „თერაპიული“

ზღაპრების კრებული „ექიმი კოდალა“ წარადგინა და წიგნის გარშემო ისაუბრა. მისი თქმით, „ექიმი კოდალა“ პატარებს დაეხმარება თანატოლებთან კონფლიქტის მოგვარებაში, თვითშეფასების ამაღლებაში, ყოველდღიური ჩვევების გამომუშავებაში და სიზარმაცის დაძლევაში.

ნაყინი თუ შოკოლადი? ყველას მაინც დედიკო ჯობია....
მ.სალაღაიას ფოტო.

სპეციალისტი გვირჩევს

ფუტკრის ძლიერი ოჯახი - მეტ პროდუქციას ნიშნავს

ფუტკარი მთელი წლის განმავლობაში არის ინტენსიური მოძრაობის პირობებში. ასევე მეფუტკრეს ფუტკართან აქვს საქმე მთელი წლის განმავლობაში. ეს პროცესი, ძირითადად, შეიძლება დაიყოს შემდეგ ეტაპებად: საგაზაფხულო სამუშაოები, ღალიანობის დრო, საშემოდგომო სამუშაოები და დასაზამთრებლად საჭირო სამუშაოები. ნებისმიერი ზემოთ ჩამოთვლილი ეტაპი მოითხოვს გულმოდგინე და დაკვირვებულ სამუშაო პროცესს. რადგან ჩვენი რეგიონისთვის ღალიანობის დრო იწყება მეფუტკრეებისათვის, ამიტომ პირველ რიგში რამოდენიმე რჩევას სწორედ ამ პერიოდისთვის მივცემ მეფუტკრე ფერმერებს.

პირველ რიგში შევთამხდეთ იმაში, რომ ყველა საფუტკრის ადგილს თავისი თავისებურებები გააჩნია, რომელიც მეფუტკრემ უნდა იცოდეს, საფუტკრეში უნდა ვიყოლიოთ ძლიერი ფუტკრის ოჯახები და ყველა ფუტკრის ოჯახი მოითხოვს ინდივიდუალურ მიდგომას. ძლიერი სკა ნაკლებ საკვებს მოიხმარს სკის გასათბობად, ბევრი არის აღმზრდელი ფუტკარი, სკის შიგნით სამუშაოები

ერთ ცალ ფუტკარზე ნაკლები მოდის, რის გამოც იზრდება ფუტკრის სიცოცხლის ხანგძლიობა, ბევრი ფუტკარი ღებულობს ნექტრის მოტანაზე მონაწილეობას, მოკლე დროში ბევრ საკვებ მარაგს ქმნიან, ძლიერი ოჯახები სტრუქტურით ფუტკრის ოჯახის ნაყარს ემსგავსება და ხელოვნურად აფერხებს დედის კვერცხმადებრობას, რაც მოსავლის მარაგის გაზრდას უწყობს ხელს.

ფუტკრის ოჯახებზე დაკვირვებით მეცნიერულად დამტკიცებულია რომ 15000 ცალი ფუტკარი ღალიანობის პერიოდში 7 კილოგრამ თაფლს მოიტანს, 30000 ცალი ფუტკარი - 19 კილოგრამს, 45000 ცალი ფუტკარი - 30 კილოგრამს, 60000 ცალი ფუტკარი - 42 კილოგრამს. 60000 ცალი ფუტკარი დაახლოებით 10 ჩარჩოიანი დადანის ტიპის სკის ორი კორპუსია ფუტკრით სავსე.

ასევე გასათვალისწინებელია ღალაზე მომუშავე ფუტკრების ასაკიც, კერძოდ, თუ ჩავთვლით, რომ ჩვენს საფუტკრეში ღალიანობა იწყება 1 ივლის და მთავრდება 1 აგვისტოს, მასში მონაწილეობას მიიღებს ღალამდე 51 დღით ადრე დაბადებული და ღალის ბოლოდან 29 დღით ადრე დაბადებული. ესე იგი თაფლის მოტანაში მონაწილეობას მიიღებს ის ფუტკარი, რომელიც დაიბადება 10 მაისიდან 2 ივლისამდე. ყველა მეფუტკრეს შეუძლია თავისი საფუტკრის ადგილმდებარეობის მიხედვით დაითვალოს და მიიღოს სწორი გადაწყვეტილებები(ძირითადად სუსტი ფუტკრის ოჯახების შეერთებით), რათა მაქსიმალური რაოდენობის თაფლი მოიტანოს მისმა ფუტკრის ოჯახებმა. აუცილებელია აქცენტი გავაკეთოთ არა რაოდენობაზე, არამედ ფუტკრის ოჯახის სიძლიერეზე.

გია ჯელაძე,

ხათუნა ცერცვაძის ხსოვნას

სიცოცხლით, ხალისით ავსებდი საბავშვო ბაღს. მუდამ მოწესრიგებული, უპრეტენზიო, თავმდაბალი, ჩუმად აკეთებდი შენს საქმეს და არასდროს კარგავდი წონასწორობას.

ალბათ, ამ მიწაზე არ დაიარება შენგან გულნატკენი ადამიანი.

გიყვარდა იოსებ ნონეშვილის პოეზია და ხშირად იმეორებდი:

„მასწავლებელი - ზოგჯერ უშვილო,
მაგრამ ათასი ბავშვის მშობელი“.

და როგორც „ათასი ბავშვის მშობელი“ სიყვარულით თავს დასტრიალებდი საყვარელ აღსაზრდელებს.

ორი წელი ებრძოდი უკურნებელ სენს. შენთან ერთად იბრძოდნენ შენი მშობლები, ახლობლები, მეგობრები, მაგრამ ყველა მცდელობა ფუჭი აღმოჩნდა. ნელ-ნელა იმძლავრა სენმა. სიკვდილის წინ ალბათ, ისევ საყვარელი პოეტის სიტყვები გამხნევებდა:

„და როცა სიკვდილი გეწვევა...
იმ ოხერს
ლამაზად არ შეხვდე,
თამამად არ შეხვდე,
ამაყად არ შეხვდე,_
ბრალია...“

საბოლოოდ გაგვაოცე ხათუნა, როგორ შეეძლო შენს ტკივილებით გატანჯულ სულს და სხეულს ასე ვაჟკაცურად შეხვედროდა აღსასრულს.

წახვედი და დაუტოვე მოუშუშებელი იარა მშობლებს, ახლობლებს, მეგობრებს.

ბუმბულივით მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის მშობლიური სურამის მიწა.

სურამის IX საბავშვო ბაღის კოლექტივი

განცხადება

ხაშურის საზოგადოება „ტრანსპორტი -1“-ის ადმინისტრაცია გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 27 აგვისტოს, ორშაბათს, 11 საათზე, სააქციო საზოგადოების ადმინისტრაციულ კორპუსში (ბორჯომის ქუჩა #28 ყოფილი სატვირთო-ავტოსატრანსპორტო საწარმოს ტერიტორია) გაიმართება აქციონერთა საერთო კრება სამეთვალყურეო საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით.

ადმინისტრაცია

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@.gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.